

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ხელნაწერის უფლებით

ნუნუ ბახტაძე

მანიპულაციის ენობრივი საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში

სპეციალობა –ლინგვისტიკა

ა ნ ო ტ ა ც ი ა

(წარმოდგენილია ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ნ. სტამბოლიშვილი

ბათუმი - 2021

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ევროპეისტიკის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

ნანა სტამბოლიშვილი – ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

შემფასებლები:

- 1. თეონა ბერიძე** – ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 2. მაია კიკვაძე** – ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- 3. მანანა თანდაშვილი** – ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის პროფესორი;
ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო
დოქტორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება **2021 წლის**

17:00 საათზე, 37-ე აუდიტორიაში, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო
სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა – ამავე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე
(www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მ.კიკვაძე

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება პოლიტიკური მეტყველების ინტერდისციპლინურ კვლევას, კერძოდ, მანიპულაციის ენობრივი საშუალებების ანალიზს გერმანული და ქართული პოლიტიკური დისკურსის მაგალითზე. კვლევა ეფუძნება სამი ძირითადი ლინგვისტური პოსტულატის – **პოლიტიკური ენის, პოლიტიკური დისკურსისა და ენობრივი მანიპულაციის** სფეროში არსებულ მეცნიერულ თეორიებს.

მიუხედავად იმისა, რომ ენისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების შესწავლის ხანგრძლივი ისტორია არსებობს, მისი კვლევა თანამედროვე დემოკრატიულ სამყაროში კვლავ აქტუალურია. დროის ცვლილებასთან ერთად, თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა მოახდინა როგორც მთლიანად საზოგადოების ქცევისა და აზროვნებაზე, ასევე, შეცვალა პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგი და საქმიანობის სტილიც. ენა და პოლიტიკა ანტიკურ სამყაროში მხოლოდ ფილოსოფიასა და ლიტერატურაში განიხილებოდა, თანამედროვე მედიის პირობებში, კი პოლიტიკურ ენას არამარტო მეცნიერები და პოლიტიკოსები, არამედ მედიის წარმომადგენლები და მედიის საშუალებით რიგითი მოქალაქეებიც განიხილავენ. სწორედ მედიის საშუალებით გახდა პოლიტიკური ენა მრავალადრესატზე ორიენტირებული (Mehrfachadressiert) და შესაბამისად, პოლიტიკოსებიც იძულებულნი გახდნენ მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია საზოგადოების ყველა ფენისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომი და აღქმადი გაეხადათ.

საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა და მოსახლეობის „გულის მოგება“ პოლიტიკოსების უპირველესი ამოცანაა. საზოგადოებაში ისინი არც ისე მაღალი სანდოობით გამოირჩევიან, რაც მათ მიერ ენის, როგორც მანიპულაციის იარაღის გამოყენებით არის განპირობებული, შესაბამისად, როგორც პოლიტიკა, ასევე მანიპულაცია ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა.

პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას საზოგადოებრივი მოვლენების მართვა წარმოადგენს, საზოგადოებრივ მოვლენებს სწორედ, პოლიტიკური

დისკურსი განსაზღვრავს. საზოგადოების აზროვნების, კულტურისა და ფსიქოლოგიის კომპლექსურობა კი, თავის მხრივ, სწორედ დისკურსში გამოვლინდება.

ტერმინი **დისკურსი** მრავალწახნაგოვანი ფენომენია და იგი პოლისემიურობით ხასიათდება. მისი განხილვა ერთი დისციპლინის ფარგლებში შეუძლებელია, გადაკვეთა აქვს სხვა მომიჯნავე დისციპლინებთან, რაც მისი ინტერდისციპლინური ხასიათით არის განპირობებული. მიუხედავად უამრავი გამოკვლევისა და სამეცნიერო თეორიისა, დისკურსის ზუსტი დეფინიცია დღემდე არ არსებობს. სამეცნიერო საზოგადოებაში არსებულმა მრავალფეროვანმა შეხედულებებმა მისი გაგება კიდევ უფრო გაართულა.

თემის აქტუალურობა – ენისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართება, ენის საშუალებით საზოგადოების განწყობების შექმნა და მისი შესწავლა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში დაიწყო, მაგრამ თანამედროვე მედიის პირობებში შეიცვალა საზოგადოების ქცევა და, რა თქმა უნდა, ენის გამოყენების სტრატეგიებიც. უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებით გააქტიურდა პოლიტიკური ტექსტების შესწავლა, ვინაიდან სწორედ პოლიტიკური დისკურსი განსაზღვრავს საზოგადოების ცნობიერებას. დღითიდღე მატულობს სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა, რომლებიც სწორედ პოლიტიკური მეტყველების შესწავლას ემსახურება.

პოლიტიკური დისკურსის შესწავლა, მისი მრავალპლანიანობიდან გამომდინარე, არათუ ამოიწურა, პირიქით, გაჩნდა ახალი დისციპლინები და შესაბამისად, ახალი მეთოდოლოგიური მიდგომები მისი ღრმად შესწავლის მიზნით. პოლიტიკური ენა თავისთავად არ არის **ვიწრო სპეციალიზაციის ენა** (Fachsprache), ვინაიდან პოლიტიკა ადამიანის ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს: კულტურა, მეცნიერება, ჯანდაცვა, ეკონომიკა და ა.შ. ამ საკითხის სრულყოფილი გამოკვლევა შეუძლებელია და ყოველთვის იძლევა კვლევისთვის საინტერესო მასალას. გარდა იმისა, რომ თემა აქტუალური და საინტერესოა, **ნაშრომის სიახლეს წარმოადგენს** ასევე გერმანული პოლიტიკური დისკურსის

შედარება ქართულ პოლიტიკურ დისკურსთან, რაც ამ დრომდე არ მომხდარა. ჩვენი კვლევა კი, ჩვენი აზრით, ამ ხარვეზის გამოსწორებას შეუწყობს ხელს. აქვე აღსანიშნავია, რომ კვლევა უმთავრესად გერმანული მეცნიერული თეორიების ბაზაზე დაყრდნობით ჩატარდა, რამაც პოლიტიკური ენის კვლევის ხანგრძლივი და მრავალფეროვანი პრაქტიკის გაზიარების საშუალება მოგვცა.

კვლევის მიზნები და ამოცანები – ჩვენი კვლევის მიზანია მანიპულაციის ენობრივი საშუალებების ლინგვისტური თვალსაზრისით განხილვა გერმანულ და ქართულ პოლიტიკურ დისკურსში, კერძოდ: განსხვავებულ კულტურათა მონაცემების, გერმანული და ქართული სინამდვილის ერთმანეთთან შედარება და ამ ორი ქვეყნის პოლიტიკური კულტურის ბაზაზე თანამედროვე საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ენობრივი საშუალებების შეპირისპირებითი ანალიზი; ენობრივი საშუალებების მრავალფეროვნების გამოვლენა და მოსახლეობის პოლიტიკურ შეხედულებებზე ზემოქმედების მიზნით მათი გამოყენებით გამოწვეული შედეგების კონტექსტში ჩვენება და ახსნა, თუ რა კონკრეტული ენობრივი საშუალებებით ხდება საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის მოხდენა და სასურველი ქმედებისკენ ბიძგის მიცემა.

კვლევის მიზანია ასევე, პოლიტიკურ დისკურსში მანიპულაციის ენობრივი საშუალებების ტიპების დადგენა, მათი ენობრივი თავისებურებების განსაზღვრა; ენობრივი საშუალებების სტრუქტურულ-სემანტიკური კლასიფიკაცია, ენობრივი ტრანსფორმაციების დადგენა და მათი სისტემატიზაცია ლექსიკურ-სემანტიკურ და პრაგმატიკულ დონეზე.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე დავისახეთ შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

- დარგში არსებული თეორიების განხილვა და აღნიშნული თეორიების ბაზაზე საკვანძო ტერმინების განსაზღვრა;
- აღნიშნული ტერმინების ტრანსფორმაციისა და მოდიფიკაციის მიზეზების დადგენა;
- ზეგავლენის ენობრივი სტრატეგიების იდენტიფიცირება;

- კონკრეტული კონტექსტის გამოვლენა, თუ რა პირობებშია შესაძლებელი მანიპულირება;
- ენის, როგორც ძალაუფლების ინსტრუმენტის დემონსტრირება.

კვლევა ორიენტირებულია პოლიტიკური ენის გავლენის შეფასებაზე და იმ ენობრივი საშუალებების იდენტიფიცირებაზე, რომელთა საშუალებითაც პოლიტიკოსები ზემოქმედებენ საზოგადოებაზე.

აღნიშნული ნაშრომის კვლევის ობიექტს წარმოადგენს გერმანული და ქართული პოლიტიკის ბოლო მოწვევის პარლამენტის (2016-2020) და ბუნდესთაგის (2017-2021) ოპოზიციური და სახელისუფლებო პარტიების წარმომადგენლების საპარლამენტო გამოსვლები, მათ შორის სამი სახელისუფლებო და სამი საპარლამენტო ოპოზიციური პარტიის პოლიტიკური მეტყველების კორპუსი, რომელიც მოიცავს ბოლო მოწვევის თითქმის ოთხწლიან ციკლს.

- გერმანულ ემპირიულ მასალად გამოყენებულია საპარლამენტო სხდომების ავთენტური ჩანაწერები (6 დეპუტატის 98 გამოსვლა). სულ გამოვლენილია ენობრივი მანიპულაციის 851 ერთეული.
- ქართულ ემპირიულ მასალას წარმოადგენს საქართველოს პარლამენტის მიერ მოწოდებულ ჩანაწერებს, რომელიც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის საფუძველზე იქნა მიღებული (6 დეპუტატის 73 გამოსვლა). სულ გამოვლენილია ენობრივი მანიპულაციის 420 ერთეული.

ემპირიული მასალის შერჩევა განაპირობა ორმა გარემოებამ. კერძოდ, 2016 წლის ქართული საპარლამენტო და 2017 წლის გერმანული პარლამენტის (ბუნდესთაგის) არჩევნების შედეგებმა, რომლის შედეგადაც, ერთი მხრივ, საქართველოში საპარლამენტო მანდატები მიიღო მემარჯვენე-კონსერვატიულმა პარტიამ „კატრიოტთა ალიანსი“. იგი პოლიტიკურ ასპარეზზე მხოლოდ 2012 წელს გამოჩნდა, პირველად მონაწილეობა მიიღო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, სადაც საერთო ხმების 4,72 % დააგროვა. ხოლო

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში დაწინაურდა და საერთო ხმების 5,01% - ით პროპორციული სიით 6 დეპუტატის მანდატი მოიპოვა. მეორე მხრივ, მსგავსი სცენარი განვითარდა 2017 წელს გერმანიაში, სადაც 2013 წელს რეგისტრირებული მემარჯვენე-პოპულისტური, ნაწილობრივ მემარჯვე-ექსტრემისტული პარტია AFD (Alternative für Deutschland) პირველად 2013 წელს 4,7 %-ით ხოლო 2017 წელს 12,6 %-ით გერმანული საზოგადოების უმრავლესობისთვის სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ბუნდესთაგში.

კვლევის მეთოდოლოგია – ნაშრომში გამოყენებულია ლინგვისტური კვლევისა და შეპირისპირების მეთოდი, რომლის მიხედვითაც ხდება გერმანულ-ქართულ საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ენობრივი მასალის, კერძოდ, მანიპულაციის საშუალებების შედარებითი ანალიზი და ანალიზის საფუძველზე მსგავსებისა და განსხვავების გამოვლენა.

ნაშრომში გამოყენებულია ასევე, კორპუსლინგვისტური მეთოდი, რომელიც თანამედროვე ჰუმანიტარულ კვლევებში ძალიან აქტუალურია. ამ მეთოდის გამოყენება დიდი მოცულობის ემპირიული მასალის სწრაფად და ეფექტურად დამუშავების საშუალებას იძლევა, რაც კვლევის პროცესს საგრძნობლად ამარტივებს. ამავდროულად იგი გვებმარება ტრადიციულ მეთოდებთან ერთად კვლევა ვაწარმოთ თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს კვლევის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას.

კორპუსლინგვისტური კვლევის მეთოდებთან ერთად, დისკურსის კრიტიკული ანალიზი პოლიტიკური დისკურსის სრულყოფილი შესწავლის უნივერსალური მეთოდია, რომლითაც გამოვლინდება პოლიტიკურ დისკურსში არსებული საზოგადოებრივი და სტრუქტურული უთანასწორობა (დეტალურად იხ. გვ. 28).

კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა და თეორიული ღირებულება – კვლევა ეფუძნება თანამედროვე თეორიულ და მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რაც გვიქმნის მოლოდინს, რომ ნაშრომი დახმარებას გაუწევს სტუდენტებს სტილისტიკის, დისკურსის ანალიზის, პოლიტოლინგვისტიკისა და სხვა სამეცნიერო

დისციპლინების შესწავლის პროცესში. ნაშრომის გამოყენება შესაძლებელი იქნება ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სამეცნიერო დისციპლინათა ლექცია-სემინარებზე. ამავდროულად, დამუშავებული მასალა და თეორიული განზოგადებები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს ახალგაზრდა პოლიტიკოსებს და საზოგადოების ნებისმიერ წევრს, რომ შეძლონ მანიპულატორი პოლიტიკოსების ამოცნობა და მათი ზემოქმედებისგან თავის დაცვა.

ნაშრომის სტრუქტურა – ნაშრომი შედგება შესავლის, ოთხი თავის, რომლებიც თავისმხრივ ქვეთავებად არის დაყოფილი, დასკვნის, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისა და დანართებისაგან.

თავი I – ენა და პოლიტიკა

პირველ თავში განხილულია პოლიტიკური ენის ისტორია ანტიკური რიტორიკიდან თანამედროვე რიტორიკამდე, მისი ტრანსფორმაცია და პოლიტიკური დისკურსის განვითარების სოციოკულტურული საფუძვლები; ამავე თავში საუბარია ენისა და პოლიტიკის ურთიერთმიმართების, ენის, როგორც პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტისა და საზოგადოების ფორმირებაზე მისი გავლენის შესახებ, ასევე, პოლიტოლინგვისტიკის, როგორც ლინგვისტიკის შედარებით ახალი დისციპლინის ჩამოყალიბების შესახებ. განხილულია ის პრაგმატული გარემოებები, რაც ენას პოლიტიკის ინსტრუმენტად აქცევს.

ენისა და პოლიტიკის შესახებ მსჯელობას ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში ვხვდებით. პოლიტიკოსის საქმიანობა ყოველთვის იყო დამოკიდებული მის დამაჯერებელ, არგუმენტირებულ, ორატორულ უნარ-ჩვევებსა და რიტორიკის ტექნიკის ფლობაზე. რიტორიკის უმთავრესი ამოცანაც სწორედ საჯარო გამოსვლების ტექნიკისა და საუბრის ხელოვნების შესწავლას წარმოადგენდა.

რაც შეეხება თანამედროვე რიტორიკას, მე-20 საუკუნეში საზოგადოებრივი საუბარი მოექცა მედიის ყურადღების ცენტრში. პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უამრავი საზოგადო მოღვაწე შეეცადა შეეფასებინა მოვლენები და გამოეთქვა საკუთარი აზრი, რამაც საზოგადოებრივი საუბრის მნიშვნელობა წინ წამოსწია. მედიამ თანამედროვე რიტორიკის განვითარებაზე ძალიან დიდი

გავლენა იქონია. თანამედროვე რიტორიკა პროპაგანდას ემსახურება, ვინაიდან ტრადიციული რიტორიკისგან განსხვავებით, თანამედროვე რიტორიკაში ფოკუსმა არა არგუმენტირებულ მსჯელობაზე, არამედ *მანიპულირებისა და პერსუაზივის ტექნიკაზე* გადაინაცვლა.

ენა, როგორც პოლიტიკური საქმიანობის მთავარი ინსტრუმენტი

პოლიტიკური ენა ლინგვისტიკის შესწავლის საგანი 1900 წლიდან გახდა, როდესაც დაიწყო ე.წ. *პარტიული ლოზუნგების (Schlagwortforschung)* კვლევა.

ენა და პოლიტიკა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებებია და მათი განცალკევება, გაყოფა შეუძლებელია. ეს რომ ნამდვილად ასეა, დავრწმუნდებით, თუ პოლიტიკოსების ყოველდღიურ საქმიანობას თვალს გადავავლებთ: მედია, პარლამენტი, არჩევნები, დიპლომატიური საქმიანობა – ყველა მათგანი ენობრივი ქმედებაა. პოლიტიკა – *ეს არის მოღვაწეობის დარგი, რომელიც ეხება საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობას, მისი მიზანია სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმირება* (თეზელიშვილი 2007). ენა არამხოლოდ პოლიტიკის ინსტრუმენტია, არამედ მისი არსებობის წინაპირობაა. როგორც ვალტერ დიკმანი ამბობს – *„ქმედება მანამ არის პოლიტიკური, სანამ ის ენობრივი ქმედებაა, სადაც პოლიტიკა არავერბალურია, იქ პოლიტიკა მთავრდება“* (Dieckman 1969: 29).

პოლიტიკური ენის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს (Frohlich 1997: 30), მათ შორის არის ვოლფგანგ ბერგსდორფის, გერჰარდ შტრაუსისა და ჯოზეფ კლაინის კლასიფიკაციები:

ვ. ბერგსდორფი პოლიტიკური ენის ხუთ კატეგორიას გამოყოფს:

- საკანონმდებლო იურისდიქცია (*Gesetzgebund Rechtsprechung*);
- ადმინისტრაცია (*Verwaltung*);
- მოლაპარაკება (*Verhandlung*);
- პოლიტიკური განათლება (*politische Erziehung*);
- პროპაგანდა (*Propaganda*);

გ. შტრაუსის კლასიფიკაცია განსხვავდება ბერგდორფის კლასიფიკაციისგან და მოიცავს ოთხ კომპონენტს:

- საორგანიზაციო და საპროცესო ენა (*Organisations-und Verfahrenssprache*);
- სათათბირო, ბრძოლისა და პროპაგანდის ენა (*Deliberation, Kampf und Propagandasprache*);
- სპეციალური ენა (*Sachbereichssprache*);
- იურიდიული ენა (*Gesetzsprache*);

არსებობს ასევე, ვ. დიკმანი/ჯ. კლაინის კლასიფიკაცია:

- ინსტიტუციური (*Institutions*);
- განყოფილებების (*Ressorts*);
- ზოგადი ინტერაქციის (*allgemeines Intereaktionen*);
- იდეოლოგიის ლექსიკა (*Ideologievokabular*)

როგორც ვხედავთ, სამივე მათგანი პოლიტიკური ენის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კატეგორიად პროპაგანდისა და იდეოლოგიის ენას განიხილავს. *პოლიტიკა, ეს არის საზოგადოების და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება.* საზოგადოების მართვა კი დემოკრატიულ სახელმწიფოში სწორედ ენის საშუალებით ხდება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ენა პოლიტიკოსის ლეგიტიმურობის უმნიშვნელოვანესი წყაროა, იგი იძლევა ქცევის კონტროლისა და სოციალური ინტეგრაციის საშუალებას.

ენა - ძალაუფლების ინსტრუმენტი

როგორც აღვნიშნეთ, ენა პოლიტიკის იარაღია, პოლიტიკა კი თავის მხრივ, სწორედ ძალაუფლების მისაღებად და შესანარჩუნებლად განხორციელებული ქმედებაა. შესაბამისად, ენა ძალაუფლების იარაღია. ენის, როგორც ძალის ინსტრუმენტის გაგება განსაკუთრებით გააქტიურდა გერმანიაში ნაცისტური რეჟიმის დროს.

გერმანიაში მესამე რაიხის დროს არსებობდა პროპაგანდის სამინისტრო, რომელსაც ი. გებელსი ხელმძღვანელობდა. 1934 წ. 2 თებერვალს გებელსმა გამოაცხადა ახალი ლექსიკონების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც მათი *სახელმწიფოს თანამედროვე აზროვნების (modernes Staatdenken)* შესაფერისი უნდა ყოფილიყო და სიტყვების ტრადიციული მნიშვნელობის შეცვლას (*Umdeutung*) ითვალისწინებდა.

აღნიშნული მოვლენებიდან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ სიტყვებზე სახელების გადარქმევის საშუალებით შესაძლებელია საზოგადოების ან კონკრეტული კულტურული, ეკონომიკური თუ პოლიტიკური გაერთიანების აზროვნების, ფიქრის და მოქმედების შეცვლა.


მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პოლიტიკური ენის კვლევით უამრავი მეცნიერი დაინტერესდა; შეიქმნა უამრავი სამეცნიერო ლიტერატურა, იწერებოდა წიგნები სიტყვის და ენის გავლენის შესახებ, რომელსაც აქტუალურობა დღემდე არ დაუკარგავთ. მაგ. „Kampf um Wörtern“ (Greiffenhagen 1980), „[Kommunikatives Handeln](#)“ (Habermas 1986), „Politikersprache“ (Holly 1990), „Sprache der Politik“ (Klaus 1971), „[Politik Und Rhetorik](#)“ (Koperschmidt 1995), „Ideologie - Sprache - Politik“ (Strassner 1987), „Die Politische Rede“ (Zimmermann 1969), „Politolinguistik“ (Burkhardt 1996), „Besetzen von Begriffen“ (Liedtke/Wengler/Böcke 1991). მეცნიერებმა აქტიურად დაიწყეს ენობრივი ნიშნის სიმბოლური განზომილების და პოლიტიკაში მისი როლის გამოკვლევა. ასევე, ენის, როგორც ცნობიერების, განმსაზღვრელის და როგორც ქცევის მაკონტროლებლის სისტემური ანალიზი.

აღნიშნულმა კვლევებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალი ლინგვისტური დისციპლინების განვითარებას, როგორებიცაა: მაგ. სოციოლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ლინგვოკულტუროლოგია, რომლებიც ენისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებას შეისწავლიან. ასევე, ამ პროცესების შედეგად ჩამოყალიბდა ლინგვისტიკის ერთ-ერთი ახალი დარგი პოლიტოლინგვისტიკა, რომლის ძირითად ამოცანას პოლიტიკური ენის გამოყენების შესწავლა (*Sprachgebrauch*) წარმოადგენს.

ლინგვოპოლიტოლოგია VS პოლიტოლინგვისტიკა

ტერმინი **პოლიტოლინგვისტიკა** პირველად 1996 წელს ბურკჰარდტის მიერ იქნა გამოყენებული. პოლიტოლინგვისტიკას იგი ლინგვისტიკის შემადგენელ დისციპლინად მოიხსენიებს, რომელიც პოლიტიკური ენის კრიტიკული ანალიზით არის დაკავებული. პოლიტოლინგვისტიკა ლინგვისტიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების მომიჯნავე დისციპლინაა, რომელიც პოლიტიკური ენის სემანტიკასა და პრაგმატიკას შეისწავლის: „როგორც გამოყენებითი ლინგვისტიკის სხვა ბევრი სფერო - ასევე, პოლიტიკური ენის ლინგვისტიკაც ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ლეგიტიმური დისციპლინაა“.
(Burkhardt 2003a: 120 in Niehr 2014:13).

პოლიტოლინგვისტიკის საგანი პოლიტიკური ენაა, მაგრამ რას ნიშნავს პოლიტიკური ენა? ბურკჰარდტის მიხედვით, პოლიტოლინგვისტიკის კვლევის საგანი შემდეგნაირად გამოიყურება:



დიაგრამა N1 პოლიტოლინგვისტიკის კვლევის საგანი ბურკჰარდტის მიხედვით

ბურკჰარდტი პოლიტოლინგვისტიკის კვლევის სფეროდ მიიჩნევს პოლიტიკურ ენას, რომელიც თავის თავში მოიცავს საუბარს პოლიტიკის შესახებ, პოლიტიკური მედიის ენას და პოლიტიკის ენას. პოლიტიკის ენა თავის მხრივ, ორ მიმართულებად იყოფა: პოლიტიკოსის მეტყველება და ენა, რომელიც პოლიტიკაში გამოიყენება.

ტერმინ **პოლიტოლინგვისტიკასთან** დაკავშირებით სამეცნიერო წრეებში არსებობს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. ქართულ სამეცნიერო სივრცეში

ტერმინ პოლიტოლინგვისტიკასთან ერთად აქტიურად გამოიყენება აგრეთვე ტერმინი ლინგვოპოლიტოლოგია. ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, უპირატესობას ვანიჭებთ *პოლიტოლინგვისტიკას*.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური ენის შესწავლა ნაციონალ-სოციალისტური პოლიტიკის შესწავლით დაიწყო, როდესაც ადგილი ჰქონდა ენის გამოყენებაში ხელოვნურ ჩარევას და წესებისა და რეგულაციების შემოღებას. სწორედ ამ პერიოდში 80-იან წლებში შეიქმნა უამრავი სამეცნიერო ნაშრომი პოლიტიკური ენის შესახებ: *ენა და პოლიტიკა; პოლიტიკის ენა; ენა პოლიტიკაში (იხ.გვ. 11)*. პოლიტიკური ენის ერთი დისციპლინის ფარგლებში შესწავლა შეუძლებელი იყო, რამაც გამოიწვია როგორც ლინგვისტური, ასევე პოლიტოლოგიის კვლის მეთოდების სინთეზი. ბურკჰარდი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ვინაიდან თითქმის ყველა ნაშრომის კვლევის მთავარი ობიექტი იყო ენა და არა პოლიტიკა, *მაგ. პოლიტიკური ენა, ენა პოლიტიკაში*, ამ ორი დისციპლინის შერწყმის დროს უპირატესი იყო ლინგვისტიკა და შესაბამისად, მან ლინგვოპოლიტოლოგიასა და პოლიტოლინგვისტიკას შორის არჩევანი პოლიტოლინგვისტიკაზე შეაჩერა (Burkhard in: Klein 85. 1996). შესაბამისად, მან სათავე დაუდო პოლიტოლინგვისტიკას, როგორც ლინგვისტიკის ახალი დარგის განვითარებას.

თავი II - დისკურსი, როგორც ამბივალენტური მოვლენა

მეორე თავში საუბარია დისკურსის შესახებ, განხილულია დისკურსის ძირითადი თეორიები, მისი განვითარების ისტორია და ის მიდგომები, რომლებიც არსებობს თანამედროვე მეცნიერებაში. საუბარია ასევე დისკურსის სხვადასხვა სახეობაზე, მათ შორის პოლიტიკურ დისკურსზე. ამავე თავში საუბარია კორპუსლინგვისტიკისა და დისკურსის იმ საერთო მახასიათებლების შესახებ, რაც კორპუსლინგვისტიკისა და დისკურსის კორელაციურ თავისებურებებს განაპირობებს.

დისკურსის ცნების განმარტება

დისკურსის მეცნიერული შესწავლა ლინგვისტიკაში 1960-იანი წლებიდან დაიწყო. მიუხედავად უამრავი სამეცნიერო თეორიისა, დისკურსის ფენომენის სრულყოფილი შესწავლა დღემდე ვერ მოხერხდა, ჯერ კიდევ არ არსებობს ცნების ზუსტი განმარტება. იგი ინტერდისციპლინური კვლევის ობიექტია და შესაბამისად, ყველა დისციპლინა, მისი მიზნებიდან გამომდინარე განმარტავს მას. დისკურსის კვლევა თავდაპირველად ფილოსოფიაში დაიწყო, თუმცა შემდგომ კვლევის საზღვრები გაფართოვდა და მოიცვა სოციოლოგია, ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ლინგვისტიკა და ა.შ.

ტერმინი „დისკურსი“ (discursus) ლათ. სიტყვაა და აქეთ-იქით სირბილს, საუბარს, ლაპარაკს ნიშნავს (სალია, 2018: 59).

დისკურსის თეორია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფილოსოფიური თეორიების წიაღში აღმოცენდა. მისი ფილოსოფიურ კონტექსტში განხილვა თანამედროვე ფილოსოფიაში იურგენ ჰაბერმასისა და მიშელ ფუკოს სახელს უკავშირდება, რომლებმაც ლინგვისტურ მეცნიერებებში გადატრელება მოახდინეს.

ი. ჰაბერმასი თვლის, რომ ენის მიზნობრივი გამოყენების უნარი ადამიანისთვის გადამწყვეტია. დისკურსი მისთვის არის: „*კომუნიკაციური რაციონალიზმის დემონსტრირების ადგილი*“ (*Schauplatz kommunikativer Rationalität*) ამ გაგებით, დისკურსი არის არგუმენტირებული დიალოგი, რომელშიც სინამდვილის მტკიცებასა და ნორმების ლეგიტიმაციაზეა საუბარი. ის, რაც გონივრულად არის მიჩნეული, არის ინტერსუბიექტური, ანუ საზოგადოების ყველა წევრის მიერ აღიარებული სინამდვილე – „რაციონალური დისკურსი“.

ჰაბერმასის მიხედვით, დისკურსის თეორიისთვის ფუნდამენტურია სამეტყველო აქტების თეორიაში არსებული კვლევის შემდეგი მიმართულებები:

- სამეტყველო აქტი, გაგებინებაზე ორიენტირებული გამონათქვამი;
- მკვეთრად საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული „სტრატეგიული ქმედება“.

ამ უკანასკნელის შემთხვევაში კომუნიკაციის აქტში მოსაუბრე წინა პლანზე აყენებს პროპოზიციულ, ნორმატიულ და სუბიექტურ სინამდვილეს და მიზნად ისახავს მოწინააღმდეგის დარწმუნებას. თუკი მოსაუბრე ამ მიზანს ვერ მიაღწევს, მაშინ მათ შორის კომუნიკაცია არ იქნება წარმატებული.

დისკურსი უზრუნველყოფს კონსესუსის მიღწევის შესაძლებლობას მასში კონსტრუირებული საშუალებებით, რაც გარდაუვალ აუცილებლობად იქნება აღიარებული ყველა მონაწილის მიერ. მონაწილეების მხრიდან არის მცდელობა შექმნან იდეალური საკომუნიკაციო სიტუაცია, რაც, ჰაბერმასის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა „*უკეთესი არგუმენტისა და კოოპერატიული ჭეშმარიტების ძიების მოტივის ნებაყოფლობითი შეზღუდვა*“ *der zwanglose Zwang des besseren Arguments und das Motiv der kooperativen Wahrheitssuche* (Habermas 1981).

მიშელ ფუკო მიიჩნევს, რომ დისკურსი არის **კონკრეტულ** ენასა და კულტურაში არსებული სინამდვილე, რომელიც უკავშირდება **კონკრეტულ** ეპოქას. არსებობს დისკურსის წესების განსაზღვრული ერთობლიობა ან კონკრეტული ცოდნის სფერო, სადაც განსაზღვრულია მაგ., რა შეიძლება ითქვას, რისი თქმა არის დაუშვებელი, ვისგან შეიძლება ითქვას სათქმელი, ან რის შესახებ შეიძლება ზოგადად საუბარი. ამას ფუკო **დისკურსულ პრაქტიკებს** უწოდებს: „*დისკურსული პრაქტიკა არის ანონიმური, ისტორიული წესების ერთობლიობა, რომელიც განისაზღვრება დროსა და სივრცეში; იგი განსაზღვრავს მოცემულ ეპოქაში და მოცემული სოციალურ, ეკონომიკურ, გეოგრაფიულ ან ენობრივ გარემოში გამონათქვამის ფუნქციის გავლენის პირობებს*“ (Foucault, 1993: 121).

ფუკოს განმარტებით, დისკურსი არის ენობრივად შექმნილი აზრის ერთობლიობა, რომელსაც აქვს კონკრეტული წარმოდგენები და რომელსაც საფუძვლად უდევს კონკრეტული ძალის სტრუქტურები და ინტერესები. დისკურსი ქმნის რეალობას და ახდენს მის სტრუქტურირებას. ფუკო დისკურსის ორ ასპექტს განასხვავებს:

- ენობრივი ასპექტები (დისკურსი);

- არაენობრივი ასპექტები (მაგ., პოლიტიკური ინსტიტუციები და არქიტექტურა).

ფუკოს მთავარი ამოსავალი არის დისკურსის ისტორიულობა, საზოგადოებრივი პრაქტიკებისა და გამონათქვამების ერთობლიობა. მისი აზრით, გამონათქვამი უფრო მეტია, ვიდრე წინადადება; გრამატიკული ანალიზისას გამონათქვამი შესაძლოა შეუცნობელი დარჩეს, მაგრამ სამეტყველო აქტისთვის იგი არის „როგორც თვალსაჩინო ფორმა/სხეული, რომელშიც იგი წარმოჩინდება“. განსხვავებულ ფორმასა და დროში არსებული გამონათქვამები ქმნიან ერთობლიობას, როცა ისინი ერთსა და იმავე ობიექტზეა მიმართული და ასეთ გამონათქვამთა ერთობლიობა ქმნის დისკურსს (Foucault, 1993:156).

ძალზე მნიშვნელოვანია ფუკოს შეხედულება იმის შესახებ, რომ დისკურსი არა მხოლოდ ქმნის სოციალურ ურთიერთობებს, არამედ იგი იყენებს ცოდნას ძალაუფლების დასამყარებლად. ფუკოს მიხედვით, ცოდნა სხვებზე ძალაუფლების წყაროა, რამდენადაც დისკურსი გამოიყენება ქცევის გასაკონტროლებლად. ის, ვინც ფლობს დისკურსს, ფლობს ძალაუფლებას.

კორპუსლინგვისტიკა და დისკურსის კრიტიკული ანალიზი, როგორც კვლევის მეთოდები

დისკურსის ანალიზი დამოუკიდებელ დისციპლინად 1972-1974 წლებში ჩამოყალიბდა. ტერმინი **დისკურსის ანალიზი** ამერიკელ ლინგვისტს ზ. ჰარისს ეკუთვნის, რომელმაც 1952 წელს ამ ტერმინით მკვიდრი ამერიკული ენების სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზისადმი მისი მიდგომა აღწერა.

დისკურსის ანალიზისადმი ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მიდგომაა **დისკურსის კრიტიკული ანალიზი** – იგი ტექსტის ლინგვისტიკის და სოციოლინგვისტიკის მიჯნაზე აღმოცენდა. დისკურსის კრიტიკული ანალიზი ძალაუფლებასა და დისკურსს შორის კავშირს იკვლევს, კერძოდ, ის სწავლობს, თუ როგორ ხდება სოციოპოლიტიკურ კონტექსტში ძალაუფლების ასახვა, კვლავწარმოება და მისთვის წინააღმდეგობის გაწევა ტექსტის და საუბრის გზით. მისი მიზანია საზოგადოებაში არსებული ძალაუფლებრივი ასიმეტრიის (Machtanalyse) და მისი გამოვლენის ფორმების კვლევა, ასევე იკვლიოს ენა,

როგორც სოციალური ფენომენი, რომელიც სინამდვილის კონსტრუირებაზე ახდენს ზეგავლენას. ენა და სოციალური რეალობა დიალექტიკურად უკავშირდებიან ერთმანეთს, შესაბამისად, დისკურსის კვლევის მეთოდებიც ეკლექტიკურია და მას მეთოდებისა და თეორიების ჰეტეროგენურობა ახასიათებს (Mautner, 2012 : 83).

დისკურსის ანალიზის, როგორც კვლევის მეთოდის მიმართ არსებობდა მოსაზრება, რომ იგი ძალიან თეორიული და სუბიექტური იყო, განიცდიდა ემპირიის ნაკლებობას და კვლევის შედეგების განზოგადება არ იყო მართებული. კორპუსლინგვისტიკამ კი, რომელიც რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე უფრო ზუსტ შედეგებს იძლევა, ეს საკითხი დადებითად გადაჭრა.

კორპუსლინგვისტიკა ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულებაა, რომელიც მეცნიერების ორი დარგის, ჰუმანიტარიისა და ინფორმატიკის მიჯნაზე წარმოიშვა. პირველი კორპუსი გასული საუკუნის 60-იან წლებში შეიქმნა - John Sinclair-ის პროექტმა „English collocation studies” მეთოდური და თვისებრივად ახალი თეორიული საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე კორპუსლინგვისტიკის განვითარებას (Theubert, 2012:231).

რა არის კორპუსი? ამასთან დაკავშირებით თავად კორპუსლინგვისტიკის თეორეტიკოსებშიც კი არ არსებობს ერთგვაროვანი შეფასება. ზოგიერთი მას როგორც ლინგვისტიკის კვლევის მეთოდს განიხილავს, ზოგიერთი კი დამოუკიდებელ დისციპლინად მიიჩნევს.

ბუბენჰოფერი/შარლოტის მიხედვით, კორპუსლინგვისტიკა ლინგვისტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვლევის მეთოდია, რომელიც დიდი მოცულობის ავთენტური მასალის მოკლე დროში დამუშავების და კვლევის ჰიპოთეზის გადამოწმების საშუალებას იძლევა (Scharloth/Bubenhofner 2012:196). მათი აზრით, კორპუსლინგვისტიკის მთავარი უპირატესობებია:

- დიდი მოცულობის ტექსტების დამუშავების შესაძლებლობა;
- არა ცალკეული ტექსტების, არამედ ენის გამოყენების პროცესის შესწავლა ტექსტების ჯგუფებში;

- მისი ემპირიული ხასიათი კვლევის რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება, რაც უფრო ზუსტ შედეგებს იძლევა.

კორპუსლინგვისტიკა და კრიტიკული დისკურსის ანალიზი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მეთოდებია. ორივე მათგანის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს დისკურსი და ენა გამოყენების პროცესში (Sprachgebrauch); მათი გამოყენება ემპირიული მასალის შედარების ძალიან დიდ მასშტაბებს იძლევა და შედეგი ძალიან სწრაფად ხდება შესამჩნევი.

თავი III - მანიპულაცია – ცნების კატეგორიზაცია და მისი როლი პოლიტიკურ კომუნიკაციაში

ამ თავში განხილულია ენობრივი მანიპულაცია. მოცემულია ცნების განმარტებები და ასევე, საუბარია ცნების სემანტიკური ტრანსფორმაციის შესახებ. აღნიშნული თავი შედგება რამდენიმე ქვეთავისაგან, სადაც განხილულია ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც მანიპულაციის მიზნით გამოიყენება და რომელთა საშუალებითაც პოლიტიკოსი საზოგადოების ცნობიერებასა და განწყობებზე ახდენს ზეგავლენას.

მანიპულაცია – განმარტება და ტრანსფორმაცია

სიტყვა მანიპულაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში აქტიურად გამოიყენება. ეტიმოლოგიურად *Manipulation* მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან (manus „ხელი“ და plere „შესრულება“ (Lay 1977: 17)) და ხელით შესრულებულ საქმეს ნიშნავს. მის პირველად მნიშვნელობას დადებითი კონოტაცია ჰქონდა და „მარჯვე“, „მოხერხებულს“ ნიშნავდა.

სოლომონ თეზელიშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში „მანიპულაცია“ შემდეგნაირად არის განმარტებული: ფრ.<manipulation>, ლათ. <manipulus> 1. რთული მოძრაობა ხელით ან ხელებით სამუშაოს შესრულებისას. 2. ხრიკი, მაქინაცია. 3. საკუთარი თავისთვის ადამიანების სასიკეთო ქცევის უზრუნველყოფა, რომელიც მიიღწევა მათი გონებით მანიპულირების შედეგად (თეზელიშვილი, 2007:474).

მე-18 საუკუნეში სიტყვა გერმანიაში საფრანგეთიდან მედიცინის გავლით შევიდა. 1945 წლის პოლიტიკური მოვლენების შემდეგ მან უარყოფითი დატვირთვა შეიძინა და დღემდე გამოხატავს **სხვებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას**, განსაკუთრებით, პოლიტიკაში.

თეოდორ ლავანდოვსკი ენის მანიპულირებას შემდეგნაირად განმარტავს:

„ენობრივი მანიპულაცია, გავლენის მოხდენა, აზრის ფორმირება, ქცევის კონტროლი (ძირითადად) გაუცნობიერებელი მოტივაციის ფორმირების გამო შელამაზებული ან დაფარული, გარკვეულწილად, ფაქტების ინტერპრეტაციისა და ემოციონალიზაციის ვერბალიზაციაა, რაც ასევე შეიძლება დაკავშირებული იყოს ახალი ამბების ინფორმაციის შერჩევასა და კომბინაციაზე, კონკრეტული ჯგუფის ინტერესიდან გამომდინარე. ჩვეულებრივ, ენობრივი მანიპულაცია არის როგორც ენის მანიპულირება, ასევე მანიპულირება ენის საშუალებით“ (Lewandowski, 1994: 1036).

მელის (Mel) აზრით, „მანიპულაცია არის ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა ცნობიერების, აზროვნების ჩვევებისა და ემოციური მდგომარეობის მართვის მისაღწევად“ (Mel in: Lay 1977: 20).

როგორც ზემოთ მოყვანილი განმარტებებიდან ჩანს, ენის საშუალებით მანიპულირება გაგებულია, როგორც ცნობიერების და აზროვნების მანიპულაცია, რომელიც სხვების ინტერესების სასარგებლოდაა მიმართული, ენა კი წარმოადგენს მანიპულაციის იდეოლოგიურ ინსტრუმენტს – „ენა მანიპულაციის იარაღია“.

ენობრივი მანიპულაციის არსი

საინტერესოა, თუ რითი განსხვავდება მანიპულაციური კომუნიკაცია სხვა ტიპის სტანდარტული კომუნიკაციისაგან. გერჰარდ ვოლფის აზრით, მათ რამდენიმე მახასიათებელი განასხვავებს ერთმანეთისგან.

ჩვეულებრივი კომუნიკაციის დროს ხდება ინფორმაციის გაცვლა კომუნიკანტებს შორის. კომუნიკაციის მიზანი ამ შემთხვევაში არის გაგებინება, რათა შედგეს სრულფასოვანი ურთიერთობა. იხ. დიაგრამა 2

A	მოლაპარაკე მიმღები	მიმღები მოლაპარაკე	B
---	-----------------------	-----------------------	---

სქემაზე ნაჩვენებია ჩვეულებრივი საკომუნიკაციო აქტის პროცესი, სადაც მოლაპარაკე (A) გასცემს შეტყობინებას და ასევე, მსმენელსაც (B) აქვს შესაძლებლობა, გასცეს თავისი შეტყობინება, რაც ქმნის კომუნიკაციის უწყვეტ ციკლს. აღნიშნულ პროცესს აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- **სიმეტრიული** (*symmetrisch*- ფარდობითი თანასწორობა ადრესანტსა და ადრესატს შორის);
- **ციკლური** (*symmetrisch*) - ყველა გამოთქმას მოჰყვება მსმენელის პასუხი, რაც შემდგომ იწვევს ორივე მხარის განცხადებებს;
- **განვრცობა** (*komplementär*)- მოლაპარაკე და მსმენელი განავრცობენ ერთმანეთს, საკომუნიკაციო აქტი შეიცავს სუბიექტურად მნიშვნელოვან ინფორმაციას, რასაც მსმენელისთვის სიახლის მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

მსგავსი კომუნიკაციისგან განსხვავებით, ენობრივი მანიპულაცია, თავის მხრივ, ნიშნავს რაოდენობრივად და თვისობრივად **ასიმეტრიულ, არაციკლურ და შემოკლებულ** (შეზღუდულ) საკომუნიკაციო პროცესს, რომლის დროსაც კომპეტენტური და ჰომოგენური მოსაუბრე დიდი, მაგრამ იერარქიულად დაბლა მდგომი მიმღები აუდიტორიის წინაშე გამოდის (Wolff, 1978:8).

თავის მხრივ, ჯ. ოსტინის სამეტყველო აქტების თეორიაც, რომელიც მან თავის სალექციო მასალაზე დაყრდნობით პირველად 1962 წელს გამოაქვეყნა სახელწოდებით: “How to Do Things with Words”, ხაზს უსვამს ენის მანიპულაციურ ხასიათს. იგი განასხვავებს ლინგვისტური აქტის სამ სახეობას:

- **ლოკუციური აქტი** – ეს არის რაღაცის თქმის აქტი. მას აქვს მნიშვნელობა და იგი ქმნის გასაგებ გამონათქვამს, რომელიც გადმოიცემა ან გამოიხატება.
- **ილოკუციური აქტი** – ის ხორციელდება როგორც რაღაცის თქმის ან როგორც რაღაცის თქმის საწინააღმდეგო ქმედება. ილოკუციურ გამოთქმას

აქვს გარკვეული ძალა, იგი არის საკომუნიკაციო აქტის მთავარი მიზანი, რომელიც მთქმელს ამოდრავებს და გამოხატავს მის სუბიექტურ დამოკიდებულებას ობიექტის მიმართ.

- **პერლოკუციური აქტი** – ეს, როგორც წესი, ქმნის აუდიტორიაზე შედეგობრივი გავლენის განცდას. ეფექტი შეიძლება იყოს აზრების, წარმოსახვების, გრძნობების ან ემოციების სახით. ადრესატზე ზემოქმედება არის პერლოკუციური გამონათქვამის მთავარი მახასიათებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ოსტინი ადასტურებს ენის მანიპულაციურ ხასიათს, სამეტყველო აქტების თეორიაში იგი ასევე საუბრობს ენის პერსუაზიულ თვისებებზე. ხშირად, ლიტერატურაში მანიპულაცია და პერსუაზივი სინონიმებადაა მიჩნეული, მაგრამ კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა გავმიჯნოთ ისინი.

გერჰარდ ვოლფი **პერსუაზივს** განმარტავს, როგორც ნაწილობრივი და სპორადული (შემთხვევითი) დამაჯერებლობის ტექნიკას, რომელიც გამოიყენება მსმენელის მოსაზრებების და ქცევის წარმართვის მიზნით, სიტუაციიდან გამომდინარე. **მანიპულაცია** კი, მისი აზრით, არის გლობალური, გრძელვადიანი მოულოდნელობის სტრატეგია, რომელიც მიზნად ისახავს ცნობიერების ღრმა ცვლილებას, ამასთან, მოსაუბრის რეალური მიზნები რჩება დაფარული (Wolff, 1978).

მანიპულაციისა და პერსუაზივის განსხვავებასთან დაკავშირებით ვან დეიკიც განმარტავს, რომ *„პერსუაზივის დროს აუდიტორია დამოუკიდებელია და შეუძლია დაიჯეროს, ან არ დაიჯეროს მოსაუბრის ნათქვამი, მაგრამ მანიპულაციის დროს აუდიტორია პასიურ მდგომარეობაშია, წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლია და მსმენელი მანიპულაციის მსხვერპლი ხდება“* (Dijk 2006: 361 in: Black 2011:43).

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები **მანიპულაცია** და **პერსუაზივი** ერთმანეთისგან განსხვავდება, მიგვაჩნია, რომ პერსუაზივის ენობრივი საშუალებები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს მანიპულაციური მიზნების მისაღწევად, შესაბამისად, ჩვენი აზრით, ენობრივი მანიპულაციის მეთოდები

ორ ჯგუფად იყოფა: ერთი მხრივ, საკუთრივ მანიპულაციის მეთოდები და მეორე მხრივ, პერსუაზიული მეთოდები, რომლებიც მანიპულაციის მიზნით გამოიყენება.

ენობრივი მანიპულაციის ტექნიკები და მეთოდები

საზოგადოების ქცევაზე ზეგავლენის მოსახდენად მანიპულაციის არაერთი საშუალება არსებობს, მაგ: ფსიქოლოგიური, ტექნიკურ-მატერიალური, ვიზუალური და ა.შ. თუმცა ჩვენი კვლევის ინტერესს ენობრივი მანიპულაცია წარმოადგენს და შესაბამისად, შევეცდებით ენობრივი მანიპულაციის სტრატეგიები და მეთოდები უფრო დეტალურად განვიხილოთ.

გერჰარდ ვოლფი თავის ნაშრომში „ენობრივი მანიპულაცია“ (Sprachmanipulation) გამოყოფს ენობრივი მანიპულაციის სამ დონეს:

- მანიპულაცია სიტყვის დონეზე;
- მანიპულაცია წინადადების დონეზე;
- მანიპულაცია ტექსტის დონეზე.

სიტყვის (სემანტიკის) დონეზე მანიპულაციის ენობრივი საშუალებები მოიცავს: აგრეგირებულ სიმბოლოებს, სლოგანებს, კლიშეებს, ზედსართავი სახელების აღმატებით ან პოლარიზებულ შედარების ფორმებს. მაგ.: **საშიში, ბუნდოვანი, უფრო მეტი, უფრო მდიდარი** და ა.შ.

წინადადების (სინტაქსის) დონეზე მანიპულაცია გულისხმობს ფრაზეოლოგიურ-იდიომურ გამონათქვამებს, იდეოლოგიემებს, პრესუპოზიციას, შეფასებით-გამომხატველ სიტყვებს. მაგ.: **თავისუფლება, კეთილდღეობა, დემოკრატია, ე.წ. ცარიელი ფორმები (Leerformen)**. აგრეთვე ისეთი გამონათქვამები, რომლებიც დაუყოვნებლივ შედეგს იძლევა, მაგ.: **ჩვენ, ყველამ ვიცით, რომ...; ჩვენ ყველა ვეკუთვნით...; უმრავლესობა ვთანხმდებით...; არავინ არის წინააღმდეგი**. მსგავსი გამონათქვამები, განსაკუთრებით ასიმეტრიული კომუნიკაციის დროს, დიდ გავლენას ახდენს მსმენელზე.

რაც შეეხება **ტექსტის დონეს (ფუნქციური/ინტენციონალი)**, აქ ვოლფი გულისხმობს სხვადასხვა სტრატეგიებს, მაგალითად, საკუთარი შეხედულებების

ისე წარმოჩენას, თითქოს ეს მსმენელის ინტერესსაც წარმოადგენდეს, ასევე, მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია, ან მოწინააღმდეგის იდეებთან დაახლოების ისეთი სტრატეგია, თითქოს მოწინააღმდეგის სასარგებლოდ საუბრობდეს, სინამდვილეში კი მხარდაჭერას თვითონ მოსაუბრე იღებდეს (Wolf 1978:13-16).

თავის მხრივ, ენობრივი მანიპულაციის მეთოდებსა და ტექნიკებზე საუბრობს რუპერტ ლეიც, რომელიც თვლის, რომ მანიპულაციის მეთოდები ნეიტრალურია და არ არსებობს თავისთავად დადებითი ან უარყოფითი მეთოდი. ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მიზნების მისაღწევად.

- **რიცხვებისა და სტატისტიკის გამოყენება** – ამ მეთოდის გამოყენების დროს მსმენელი უძლურია მყისიერად გადაამოწმოს იმ ციფრების სიზუსტე, რომელსაც მანიპულატორი იყენებს და იძულებულია მიიღოს იმგვარი ინფორმაცია, როგორსაც სთავაზობენ.

- **აბსტრაქტული სიტყვები/შეფასებითი სემანტიკის სიტყვები**, რომლებიც ბუნებაში არ არსებობს, ხშირად ხდება იდეოლოგიის იარაღი. მაგ.: თავისუფლება, ლიბერალიზმი, თანასწორობა და კეთილდღეობა სხვა.

- **გამეორება** – იდეოლოგიის შელამაზების კარგი საშუალებაა, მსგავსი გამეორების შედეგად ნათქვამში ინდივიდუალობა გაბუნდოვანდება და იქმნება კოლექტიური სტილი. ინფორმაციის სიხშირე გავლენას ახდენს არაცნობიერზე – ერთხელ ნათქვამი შეიძლება მსმენელს გამორჩეს, უყურადღებოდ დარჩეს, მაგრამ თუ მას მოისმენს რამდენჯერმე, როგორი რთულად აღქმადი და გაუგებარიც არ უნდა იყოს ის, აუცილებლად დაიმახსოვრებს.

- **ავტორიტეტების ციტირება** – ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების მოხმობა, ციტირება. ცნობილი ისტორიული ფაქტების გახსენება ემოციურ ზემოქმედებას იწვევს.

- **ობიექტის გადატვირთვა** – მანიპულაციის ერთ-ერთი მეთოდია მსმენელის გადატვირთვა ჭარბი ინფორმაციით, ფაქტებით, რიცხვებით. არა პირდაპირი მიზნის გამოცხადება, არამედ სხვა დამატებითი მიზნების მოფიქრება. მაგ. სამხედრო მიზნები რეგიონზე - უმცირესობების უფლების დაცვა

(რუსეთი) ან სამყაროს დიდი საშიშროებიდან გადარჩენა (ტერორიზმი) (lay 1999:12).

- **ქაოსის შექმნა** – ქაოსი, რომელსაც ნაკლები გავლენა აქვს, საერთო ჯამში უფრო მომგებიანია, ვიდრე დიდი გავლენა ქაოსის გარეშე (მოდელირებული ქრონიკა) *Chaos mit geringer Beeinflussung hat enorme Vorteile gegenüber der Methode "starke Beeinflussung ohne chaos"*, ვინაიდან ქაოსში:

- მიზანი არ არის ნათელი;
- მოქმედებები უკონტროლოა;
- შეცდომების მიმართ საზოგადოება ტოლერანტულია;
- სადაც მიზანი ნათელი არ არის, იქ არც მოწინააღმდეგეა (lay 1999:14)

- **დეზინფორმაცია** – მიზანმიმართული არასწორი ინფორმაცია, მიზანმიმართული დისკრედიტაცია. ასევე დაუსაბუთებელი ბრალდება და ცილისწამება.

- **ცრურწმენები** – მანიპულაციის საშუალებაა აგრეთვე წინასწარი, გაბატონებული შეხედულებები. ყველა გამომსვლელი იქნება შესაფერისად დაფასებული, თუ ისინი მსმენელის შეხედულებებს დაადასტურებენ, დაამოწმებენ. ეს ტექნიკა ყველაზე ხშირად გამოიყენება.

- **ნაციონალური სტერეოტიპები** – სტერეოტიპები მართავენ ადამიანის დამოკიდებულებებს, ისინი წარმოადგენენ აზროვნების ნიმუშებს, ამარტივებენ აღქმის პროცესს და ამასთანავე ასრულებენ მნიშვნელოვან ფუნქციას:

- არსებული სამყარო შემცირების საშუალებით მარტივი ხდება.
- მათ აქვთ დაცვითი ფუნქცია – იგი ჩვენი ტრადიციების ბირთვია, რის მეშვეობითაც „*იცავენ ჩვენს პოზიციას საზოგადოებაში*“ (*unser Stellung in der Gesellschaft verteidigen* (Mikotajczyk, 2004:15).

- **უიმედობა** – უიმედო სიტუაციაში ადვილია მანიპულირება, ვინაიდან უიმედოს არ აქვს მიზანი და არ ცდილობს ძალისხმევა გამოიჩინოს, უიმედო საზოგადოება ნაკლებად რეზისტენტულია და შესაბამისად, ადვილად

ემორჩილება ლიდერს, არ გააჩნია საკუთარი მიზნები, რაც მანიპულირებისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის.

- **საზოგადოების მოთხოვნილებებზე ფოკუსირება** – მანიპულატორის გამოსვლა არსებულ მოთხოვნილებებს უნდა შეესაბამებოდეს. მოთხოვნილებებზე აქცენტირება ძალიან დიდ კმაყოფილებას იწვევს. მაგ.: ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები - შიმშილი, შიში, ჯანმრთელობა; ასევე, მნიშვნელოვანია სოციალური მოთხოვნები: უსაფრთხოების, სოციალური აღიარება, (რომ პატივს სცემ) შექება, ყურადღება. თითოეული მათგანი იძლევა მანიპულირების საშუალებას, მოთხოვნა თუ არ არსებობს, მანიპულატორი წააქეზებს მის გაღვივებას. ეს მეთოდი პოლიტიკაში **პოპულიზმის** ფორმით ვლინდება. პოპულიზმის იდეა უბრალო ხალხის თემებით მანიპულირებაა. მიიჩნევა, რომ ხალხის ინტერესებზე აპელირება პოლიტიკოსების მხრიდან არ არის გულწრფელი და აქედან გამომდინარე, ტერმინს **პოპულიზმი** ნეგატიური კონოტაცია გააჩნია.

- **პირველი დეფინიცია** – განსაკუთრებით გამოკვეთილად დასამახსოვრებელია პირველი დეფინიცია, იგი მეხსიერებაში კრისტალიზდება და მეტაფორულ მნიშვნელობას იძენს, რომელიც სამომავლო ინფორმაციის ორგანიზებას უწყობს ხელს და ახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ისინი ადვილად გასაგებია, ცნობიერებას გამოკვეთენ და შეუძლიათ დიდი მოქმედების მოტივაცია გამოიწვიონ. პოლიტიკაში სიტყვის პირველად გამოყენებას, მისაკუთრებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს – *”ვინც ასახელებს საგნებს, ფლობს მათ. განმარტებები ქმნიან ”რეალობას” (Wer die Dinge benennt, beherrscht sie. Definitionen schaffen “Realitäten“ (Greiffenhagen, 1980:13)).* ცნების მისაკუთრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარტიების იდეოლოგიის განსაზღვრის დროს, როცა პარტია ცდილობს თავისი ნიშა დაიკავოს პოლიტიკურ წრეებში. მაგ., „*ევროპული საქართველო*“ ან „*პროდასავლური ღირებულებები*“.

• **კოლექტიური სიმბოლო** - ენობრივი მანიპულაციის ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია კოლექტიური სიმბოლოს გამოყენება. პოლიტიკაში ენა წარმოადგენს ერთიანობის სიმბოლოს ისეთ სიმბოლოებთან ერთად, როგორებიცაა ისტორია და კულტურა. ენისა და ეროვნული იდენტობის ურთიერთკავშირის საშუალებით ენა იდენტობის მთავარ იარაღად იქცევა. ამიტომაც, დიკმანის აზრით, მნიშვნელოვანია კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე მიმდინარეობდეს - *“ვინც ჩემსავით საუბრობს, მე მგავს (ჩემი თანასწორია), ისე ფიქრობს, როგორც მე და ისე იქცევა, როგორც მე” (Wer so spricht wie ich, zu mir gehört, so denkt wie ich und sich so verhält wie ich (Dieckmann, 1969:32).*

როგორც ცნობილია, გარდა დესკრიპციული მნიშვნელობისა ენას ემოციონალური მნიშვნელობაც გააჩნია. ვალტერ დიკმანი თავის ნაწარმოებში „*ენა პოლიტიკაში*“ ასახელებს იმ რამდენიმე მეთოდს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საზოგადოების განწყობებზე ზემოქმედება. ამ დროს გასათვალისწინებელია:

- სიმბოლოს რა გამოხმაურება ექნება ტექსტში (attantio);
- რა ღირებულ მოსაზრებას დაუკავშირებს მოსაუბრე ამ სიტყვას (direction);
- რა იქნება ხაზგასმული სიტყვაში (intensity).

მანიპულაციის ტექნიკებია აგრეთვე:

- ინფორმაციის არასრული მიწოდება (როცა ჩვენს ნაკლს ვფარავთ). ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თვითონ ვეფლობით მანიპულაციის სამყაროში;
- ინფორმაციის ნეგატიური ასპექტების წინა პლანზე წამოწევა;
- არასწორი/არაზუსტი ინფორმაციის გავრცელება –რომელიც ფაქტებს არ ეყრდნობა (Fehler oder übermittlung) – ინფორმაციის გადაცემისას დაშვებული შეცდომა.

მანიპულაცია გავლენას ახდენს მაშინ, როდესაც ობიექტი თვლის, რომ მანიპულატორის მიზანი მისი მიზანიცაა, ეს უკანასკნელი მანიპულაციის მიზანს ვერ ხვდება და მანიპულატორის აღქმა შეუძლებელია.

ფრეიმი – საზოგადოების ცნობიერებაზე ზეგავლენის ერთ-ერთი გავრცელებული, თუმცა შედარებით ახალი საშუალება არის **ფრეიმინგი**, რომელიც კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის ობიექტს განეკუთვნება. ელიზაბეტ ველინგი ფრეიმინგს შემდეგნაირად განმარტვას: „როცა ჩვენი ტვინი ახერხებს ჩაწვდეს სიტყვებს ან იდეებს, ჩვენს ტვინში აქტიურდება მნიშვნელობის ჩარჩოები, რასაც კოგნიტურ ლინგვისტიკაში ფრეიმები ჰქვია“ (Wehling, 2016: 28).

ველინგის აზრით, „სიტყვებს, უფრო სწორად, სიტყვის საშუალებით გამოხმობილ ფრეიმებს მყარი ძალა აქვთ და მოქმედებს არა მხოლოდ ჩვენს აზროვნებასა და აღქმაზე, არამედ ჩვენს მოქმედებებზეც“ (Wehling, 2016: 37).

ფრეიმები ტვინში ენის საშუალებით აქტიურდებიან. ისინი აწესრიგებენ ინფორმაციის მიღებას, ჩვენს ფიზიკურ გამოცდილებასა და დაგროვილ ცოდნას სამყაროს შესახებ. ფრეიმები ყოველთვის შერჩევითია. ისინი კონკრეტულ ფაქტებსა და რეალობას წინა პლანზე წამოსწევენ, სამაგიეროდ, ზოგ ინფორმაციას ფარავენ. ფრეიმები ენის საშუალებით აქტიურდებიან ადამიანის ტვინში, აფასებენ და ინტერპრეტაციას უკეთებენ ინფორმაციას. ფრეიმები წარმართავენ ადამიანის აზროვნებას და ქმედებას, თუმცა თავად მათთვის ეს გაუცნობიერებელი რჩება.

აღვნიშნეთ, რომ მანიპულაციური მიზნებით გამოიყენება ასევე პერსუაზიული საშუალებებიც, მაგ., სტილისტური საშუალებები, როგორებიცაა: მეტაფორა, ეგზემპლი, ირონია, გამეორება, შედარება, ჰიპერბოლა და სხვა.

მეტაფორა – მეტაფორა პოლიტიკურ დისკურსში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი საშუალებაა. მეტაფორის თეორიის გადატრიალება 1980-იანი წლების დასაწყისში ლაკოფ/ჯონსონის თეორიის conceptual Metaphor Theory საფუძველზე მოხდა. ნაშრომში მეტაფორა განიხილება არამხოლოდ, როგორც ენობრივი ელემენტი, არამედ, ასევე, შემეცნებისა და აზროვნების საშუალება. *„მეტაფორები არამარტო ენის, არამედ ასევე აზროვნებისა და შემეცნების ელემენტებია, რომლებზე უარის თქმაც შეუძლებელია“ (Lakoff/Johnson2017:11).*

მეტაფორა, ბლეკის აზრით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ლიდერებისთვის, რადგან იგი ცნობიერსა და არაცნობიერს შორის მედიაციის

საშუალებათა. მას აქვს განუსაზღვრელი პოტენციალი პერსუაზივისა, ვინაიდან ის ჩვენს შეხედულებებზე, რწმენასა და ღირებულებებზე ახდენს გავლენას, მისი საშუალებით არაცნობიერი ემოციური ასოციაციები აქტიურდება (Black, 2011:98).

ევფემიზმი – მანიპულირების მიზნით ევფემიზმების გამოყენება არ არის ახალი და განსაკუთრებით აქტუალური ნაციონალისტური რეჟიმის პერიოდიდან გახდა. ევფემიზმი ლათ. Euphemismus ლამაზ საუბარს, შელამაზებას ნიშნავს იგი, ერთი მხრივ, რიტორიკის შემადგენელი ნაწილია, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ ერთიანობაზე ახდენს გავლენას და ტაბუს კომპენსირებას წარმოადგენს, სტილისტიკურ-სემანტიკურ ასპექტს ეყრდნობა და გამონათქვამისა და მისი ჩანაცვლების ანუ ნათქვამისა და მოაზრებულის ურთიერთდამოკიდებულებას აღნიშნავს.

პერსუაზიული ფუნქცია აქვთ აგრეთვე **პერფორმატიულ ზმნებს**. ისინი პერსუაზიული ფუნქციის თვალსაჩინო მაგალითია, ვინაიდან მათი გამოყენების შემთხვევაში ქმედება, რომელზეც გამომსვლელი საუბრობს, უკვე შესრულებულია. მაგ. **გთხოვთ, გპირდებით, ვიმედოვნებ** და ა.შ. (Austin, 1956)

პოლიტიკისთვის დამახასიათებელია **სიტყვების/ლექსიკის პოლარიზება**. მაგ.: ჩვენ და სხვები; მტერი-მეგობარი. თუმცა ეს არ ეხება მარტო ლექსიკურ ერთეულებს, საკუთარი მიზნის მისაღწევად პოლიტიკოსმა შეიძლება განსაკუთრებულ დიქტომიაზე დაყრდნობით შექმნან პოლარიზებული წარმოსახვითი სამყარო. ასეთი აქსიოლოგიური მახასიათებელი მსმენელში იწვევს ემოციურ განწყობას.

პერსუაზივის მექანიზმებია ასევე, **გამარტივება** და **განზოგადება** (Vereinfachung – Generalisierung);

მარტენ ჰაიკოს აზრით, დიდი პერსუაზიული ძალა გააჩნიათ **კომპოზიტებს**, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია თემატური ფაქტების კონკრეტული თვისებების წინა პლანზე წამოწევა. ამა თუ იმ პარტიისთვის დამახასიათებელი თვისების უკვე ნაცნობ ცნებასთან გაერთიანება, საერთო ჯამში, დიდ გავლენას

ახდენს ძველი ცოდნის საფუძველზე. მაგ., „თავისუფალ-დემოკრატები“, „ქრისტიან-დემოკრატები“ და ა.შ. (Haiko, 2016).

შესაბამისად, მოსაუბრის მიზნების მისაღწევად და საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით, მანიპულაციის სხვა ენობრივ საშუალებებთან ერთად პერსუაზიული საშუალებებიც წარმატებულ შედეგს იძლევა.

განხილული მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენა მანიპულაციის განუსაზღვრელ შესაძლებლობას იძლევა. წარმატებული, ეფექტური მანიპულაციისთვის სწორად შერჩეულ მეთოდსა და სიტყვას, არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

თავი IV - ემპირიული მასალის ანალიზი

მეოთხე თავში განხილულია გერმანული და ქართული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსები, და დისკურსის თავისებურებები, კერძოდ, მოცემულია პრაგმატიკულ-სემანტიკური ანალიზი, გამოვლენილია მანიპულაციის ის ენობრივი საშუალებები, რომლებიც დამახასიათებელია თითოეული ქვეყნის საპარლამენტო დისკურსისათვის, ასევე, მოცემულია მათი კლასიფიკაცია. წარმოდგენილია მანიპულაციის ენობრივი საშუალებების რაოდენობრივი ანალიზი და მიღებული სტატისტიკის შეფასება თეორიულ ასპექტში.

საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური დისკურსი ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დისკურსია. იგი განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნების განვითარების აწმყოსა და მომავალს. სწორედ პოლიტიკოსების დისკურსზეა დამოკიდებული ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და სოციალური განვითარება. გავლენიანი პიროვნებები ქმნიან გავლენიან დისკურსს, რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის მომავალს. არსებობს პოლიტიკური დისკურსის რამდენიმე სახეობა: *ინსტიტუციური, ადმინისტრაციული, ინტერაქციული და იდეოლოგიური* (Klein,1989). თითოეული მათგანის მიზანი არის საზოგადოების მასების აზრების, ფიქრებისა და ქცევების მართვა.

ჩვენი კვლევის ობიექტად შერჩეულ იქნა გერმანულ-ქართული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსი. საპარლამენტო დისკურსი მკვეთრად განსხვავდება მაგ., წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსისაგან, როდესაც პოლიტიკოსები თითქმის თავისუფალი არიან პასუხისმგებლობისგან და ხშირად მათი პროგრამები განუხორციელებელ დაპირებად რჩება. მისგან განსხვავებით, საპარლამენტო დისკურსს აუცილებლად მოჰყვება საპარლამენტო საქმიანობის შედეგი, ანუ ესა თუ ის კანონი, რომლის აღსრულებაც მომავალში ყველასათვის სავალდებულო იქნება. კანონის აღსასრულებლად კი საზოგადოების მხარდაჭერა უაღრესად მნიშვნელოვანია. აქედან გამომდინარე, ჩვენი მიზანია, წარმოვაჩინოთ პარლამენტარების ის სტრატეგია და ტექნიკა, რომლის საშუალებითაც კანონმდებლები ახერხებენ საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენას და მათი მხარდაჭერის მოპოვებას.

დამაჯერებელი, პერსუაზიული მეტყველება რომ პარლამენტარისთვის უმნიშვნელოვანესია, ამას თავად ტერმინის განმარტებაც ცხადყოფს: „[პარლამენტი ფრანგ.](#) *parlement* ← *parler* = ლაპარაკის პროცესი, განხილვა (თეზელიშვილი, 2007). პარლამენტარის საქმიანობას უმთავრესად, სწორედ ლაპარაკი წარმოადგენს. პარლამენტში საუბრის მნიშვნელობას ხაზს უსვამს ასევე გერმანელი პოლიტიკოსი და ფსიქოლოგი ვილი ჰელპახი, რომელიც პარლამენტს უწოდებს **სალაპარაკო ადგილს** (*Redestätte*) და **ვერბალურ ბრძოლას** (*Redeschlacht*), რომელიც საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში მე-20-ე საუკუნის დასაწყისში უფრო დიდ გავლენას ახდენდა, ვიდრე მედია (W.Hellpach 1927 14 in Burkhardt 2010, 200).

საპარლამენტო დისკურსი ორი თავისებურებით ხასიათდება: ერთი მხრივ, პარლამენტარები დისკუსიაში შედიან სხვა მოწინააღმდეგე პარტიების წარმომადგენლებთან და ცდილობენ დაარწმუნონ საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტებაში; მეორე მხრივ, პარლამენტში გამომსვლელებმა იციან, რომ მათი გამონათქვამები, გამოსვლის ტექსტის ამონარიდები მასმედიისა და სხვა სოციალური ქსელების საშუალებით საჯაროდ განხილვის საგანი შეიძლება გახდეს. შესაბამისად, ისინი არა მარტო პარლამენტის წევრებს მიმართავენ, არამედ

ირიბად ესაუბრებიან საზოგადოების სხვა დანარჩენ ნაწილსაც. ასეთ შემთხვევაში გამომსვლელსა და საზოგადოების ფართო ფენებს შორის კომუნიკაცია ასიმეტრიულია და საპასუხო რეაგირება დამსწრე დეპუტატების გარდა არავის შეუძლია, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქმნის მანიპულაციის განხორციელებისათვის ხელსაყრელ გარემოს.

ქართული საპარლამენტო დისკურსი

ქართული საპარლამენტო დისკურსის ანალიზისთვის ემპირიულ მასალად შერჩეულ იქნა სახელისუფლებო პარტიის „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ სამი დეპუტატის– **არჩილ თალაკვაძის, ირაკლი კობახიძისა და გიორგი ვოლსკის** საპარლამენტო გამოსვლების ტექსტები. ასევე, სამი ოპოზიციური პარტიის– „*ევროპული საქართველოს*“, „*ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა*“ და „*პატრიოტთა ალიანსის*“ თითო დეპუტატის– **გიგა ბოკერიას, სალომე სამადაშვილისა და ირმა ინაშვილის** საპარლამენტო გამოსვლები.

ქართული სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიების შედარებითი ანალიზი

წინამდებარე კვლევის მიზანს ქართველი პოლიტიკოსების პიროვნული მეტყველების შეფასება არ წარმოადგენდა. ჩვენი ინტერესი იყო იმ პარტიების პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსის განხილვა და სამეტყველო თავისებურებების ანალიზი, რომელთაც 2016 წლის არჩევნებში ამომრჩეველთა ხმების საჭირო რაოდენობა დააგროვეს და პარლამენტში დაიკავეს მანდატები. შესაბამისად, ჩვენი მიზანი იყო სწორედ ამ პარტიების ენობრივი სტრატეგიის განხილვა-გაანალიზება და იმ ენობრივი საშუალებების გამოვლენა, რომლითაც ისინი საზოგადოების ფიქრებზე, აზრებსა და, შესაბამისად, შემდგომ უკვე ქმედებაზე ახდენენ გავლენას.

მოცემულ დიაგრამებზე ნაჩვენებია ხელისუფლებისა და ოპოზიციის საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ის ენობრივი საშუალებები, რომლითაც ისინი ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ როგორც

დარბაზში მყოფ საზოგადოებაზე, ასევე, საზოგადოების იმ დიდ ნაწილზე, რომელიც მათ უსმენს მედიის საშუალებით.

დიაგრამა #4

დიაგრამა#5

აღნიშნული დიაგრამები ცხადყოფენ, რომ როგორც ოპოზიციური ასევე, უმრავლესობაში მყოფი პარტიები მანიპულაციის თითქმის ერთსა და იმავე საშუალებებს იყენებენ, თუმცა სტატისტიკური თვალსაზრისით ოპოზიციის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა ოდნავ აღემატება ხელისუფლების მიერ გამოყენებულ მანიპულაციის საშუალებების რაოდენობას (შდრ.: უმრავლესობა-171, ოპოზიცია-249), მანიპულაციის საშუალებების ტიპები კი თითქმის თანაბარია: ხელისუფლება - 30, ოპოზიცია - 27. ორივე შემთხვევაში მანიპულაციის მიზნით გამოყენებულ ყველაზე ხშირად მოხმარებად ტექნიკას პერსუაზივის წარმოების სტილისტური საშუალებები - შედარება, მეტაფორა და ირონია წარმოადგენს (ხელისუფლება: შედარება-13%; მეტაფორა-12%; ირონია - 9%. შდრ.: ოპოზიცია: მეტაფორა-19%; ირონია -16%; შედარება-4%). აღსანიშნავია, რომ ხელისუფლება უმთავრესად შედარების, ხოლო ოპოზიცია ირონიის საშუალებებს იყენებს, რაც საქართველოს პარლამენტში არსებული პარტიების ენობრივი მანიპულაციის სტრატეგიების ერთგვარ ლუსტრაციას წარმოადგენს.

შედარებას, როგორც ენობრივი მანიპულაციის ხერხს, სახელისუფლებო პარტია ორი მიზნით იყენებს: დადებითი და უარყოფითი. დადებით შედარებას ხელისუფლება ძირითადად ევროპულ გამოცდილებასთან მიმართებით იყენებს, ხოლო უარყოფითი შედარება, რომელიც უფრო სჭარბობს დადებითს, ოპოზიციური პარტიის, კერძოდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდზე მოდის. მაგ.:

„ყველგან საქართველოს აქვს უკეთესი, ხელშესახებად უკეთესი შეფასებები, ვიდრე ეს იყო 2012 წელს და მანამდე“ (თალაკვაძე);

„2012 წელთან შედარებით ჩვენ, ბუნებრივია, შედარებაზე აქცენტს არ ვაკეთებთ, იმისათვის არ ვაკეთებთ, იმისათვის, რომ ჩვენ თავი მოვიწონოთ, არ არის საკმარისი ნაცმოდრობასთან შედარება, იმ უბედურებასთან შედარება, რომელიც იყო შექმნილი **2012 წლამდე**, არაფერს არ ნიშნავს ის, რომ **6-ჯერ უკეთესი და 20-ჯერ და თუნდაც 200-ჯერ უკეთესი** მონაცემები გაქვთ ნაცმოდრობასთან შედარებით“ (კობახიძე).

რაც შეეხება ოპოზიციური პარტიების სტრატეგიას, ისინი განსაკუთრებული ირონიულობით გამორჩევიან, განსაკუთრებით „*ევროპული საქართველოს*“ და „*ნაციონალური მოძრაობის*“ პარტიების წარმომადგენლები. ირონიას ისინი მოწინააღმდეგის დისკრედიტაციის მიზნით იყენებენ. მაგ.:

„თქვენს შორისაც არის ხალხი, წარმოდგინეთ, ეგეთებიც კი არიან, ვინც ხვდება, რასაც მე ახლა ვიძახი“ (ბოკერია).

ქართულ საპარლამენტო დისკურსში პერსუაზიული საშუალებების შემდეგ ყველაზე ხშირად გამოყენებადი მანიპულირების მეთოდს ფრეიმი წარმოადგენს. შდრ.: ხელისუფლება - 11%; ოპოზიცია - 6%.

„მურუსიძეობა, მურუსიზმი, ასე ვთქვათ, ეს არის მანკიერება, ეს არის მოვლენა, რომელიც ყოველთვის ჭამს მერე იმ ხელისუფლებას, რომელი ხელისუფლებაც მას იყენებს, ავად თუ კარგად და „ქართული ოცნება“ აუცილებლად დადგება ერთ მშვენიერ დღეს ასეთი რეალობის წინაშე, რომ მას შეჭამენ მურუსიძეები და ჩინჩალაძეები“ (ინაშვილი).

პოლიტიკური პარტიების მიერ გამოყენებული ენობრივი მანიპულაციის საშუალებების უმთავრეს მიზანს მოწინააღმდეგის დისკრედიტაცია წარმოადგენს, რისთვისაც პოლიტიკოსები სხვადასხვა საშუალებებს მიმართავენ, განსაკუთრებით სჭარბობს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ოპონენტის დისკრედიტაციისთვის იყენებენ ბრალდებასა და მუქარას. მაგ. *„ეს კრიზისი შექმნათ თქვენ და თქვენს დაქვემდებარებაში მყოფმა ადამიანებმა შემდეგ“ (სამადაშვილი);*

„მინდა, რომ ძალიან ფრთხილად იყოთ, როცა პასუხს გამცემთ, იმიტომ, რომ ახლა ფიცის ქვეშ არ ბრძანდებით, ანუ ცრუ ჩვენებისთვის ავტომატურად პასუხს არ აგებთ, მაგრამ თქვენი აქ გაკეთებული განცხადებები მომავალში შეიძლება გამოძიებისთვის იყოს მტკიცებულებები“ (ბოკერია).

ოპოზიციური პარტიებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე საზოგადოებაში შიშის და უიმედობის დანერგვა, რათა შემდგომში ადვილად მოხდეს მისი მართვა. (ოპოზიცია-4%). მაგ.:

„ქვეყანა იწვის ცეცხლის ალში, მიმოიხედეთ თქვენ გარშემო რა ხდება, დავით გარეჯში, დავით გარეჯთან მიმართებით რა განცხადებები კეთდება, ძალიან შემაშფოთებელი და ძალიან დამაფიქრებელი“ (სამადაშვილი).

მანიპულაციის სხვა საშუალებებთან ერთდ ქართულ საპარლამენტო პოლიტიკურ დისკურსში აქტიურად გამოიყენება პოპულიზმი (შდრ.: ხელისუფლება-4%; ოპოზიცია -6%) და სამიზნე ჯგუფებზე ფოკუსირების ტექნიკა (შდრ.: ხელისუფლება - 7%; ოპოზიცია - 3%), როგორცაა პოლიციელები, მასწავლებლები, ჯარისკაცები, ქალები და სხვ.

„რა არის ბოლოს და ბოლოს ეს ბიუჯეტი, აი, უამრავი ფურცელი მიდევს მაგიდაზე ჩვეულებრივი ადამიანებისთვის, ეს ბიუჯეტი არის მათი ოჯახების კეთილდღეობა, ეს ბიუჯეტი არის ის, რომ მათ შეილებს არ შიათ, ეს ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ მათ აქვთ ღირსეული პენსია, ეს ბიუჯეტი ნიშნავს იმას, რომ ამ ადამიანებს აქვთ დაცულობა ჯანდაცვის მიმართულებით, სხვადასხვა სოციალური მიმართულებები და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტი ორიენტირებულია, სამწუხაროდ, არა ამ ჩვეულებრივ ადამიანებზე, არამედ ასევე ისევე, როგორც წინა შემთხვევებში, რაღაცა ზოგად ციფრებზე“ (ინაშვილი).

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული საპარლამენტო პოლიტიკის ორივე ფლანგი პარლამენტში აქტიურად იყენებს მანიპულაციის სხვადასხვა საშუალებებს. ორივე მათგანი უმთავრესად ენობრივი მანიპულაციის პერსუაზიულ ტექნიკებს ანიჭებს უპირატესობას, მაგრამ ასევე წარმატებით იყენებენ საკუთრივ მანიპულაციურ საშუალებებსაც. თითქმის თანაბარია და

მსგავსი მანიპულაციის იმ ენობრვ საშუალებათა რაოდენობა და ტიპები, რომელთაც ქართველი პოლიტიკოსები იყენებენ საპარლამენტო დისკურსში. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა მანიპულაციის ის ენობრივი სტრატეგიები, რომლითაც ქართველი პოლიტიკოსები ახერხებენ საზოგადოებაზე ზემოქმედებას. **აღნიშნული საშუალებები ჩანს დიაგრამებზე N 4 და N 5. აქ ცხრილი იქნება???**

გერმანული საპარლამენტო დისკურსი

გერმანული საპარლამენტო დისკურსის კვლევისთვის შერჩეულ იქნა ექვსი პარლამენტარის საპარლამენტო გამოსვლები 2017 წლის არჩევნებიდან დღემდე. როგორც ცნობილია, გერმანიის პარლამენტში – ბუნდესთაგში საპარლამენტო უმრავლესობა ეკუთვნის კოალიციას, რომელშიც გაერთიანებული არიან შემდეგი პარტიები: „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი“ CDU (Christlich Demokratische Union), „ქრისტიანულ-სოციალური გაერთიანება“ CSU (Christlich-Soziale Union) და „გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია“ SPD (Sozialdemokratische Partei Deutschlands). კვლევისთვის შერჩეულ იქნა თითო წარმომადგენელი თითო პარტიიდან: ვოლფგანგ შოიბლე, გერმანიის ბუნდესთაგის პრეზიდენტი (CDU/CSU); ფოლკერ კაუდერი (CDU/CSU) და როლფ მუტცენიხი (SPD) „სოციალ-დემოკრატიული პარტიის“ ფრაქციის თავმჯდომარე.

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, აქაც პროპორციულობის პრინციპის დაცვით, შერჩეულ იქნა სამი პარტია: „მემარცხენეები“ (Die Linken), FDP „თავისუფალ დემოკრატიული პარტია“ (Freie Demokratische Partei) და „ალტერნატივა გერმანიისათვის“ AfD (Alternative für Deutschland). შესაბამისად, გაანალიზებული იქნა მათი თითო წარმომადგენლის– სარა ვაგენკნეხტის (Die Linken), კრისტინ ლინდნერისა (FDP) და ალექსანდრე გაულანდის (AfD) საპარლამენტო გამოსვლების ტექსტები.

გერმანული საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის შედარებითი ანალიზი

გერმანიის ბუნდესთაგში არსებული როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიების მიერ გამოყენებული ენობრივი მანიპულაციის მრავალფეროვანი ტექნიკები და მეთოდები მოცემულია დიაგრამებზე N 6 და N 7.

დიაგრამა N 6

დიაგრამა N 7

აღნიშნულ დიაგრამებზე მოცემული ინფორმაციიდანაც მარტივად აღსაქმელია, რომ გერმანიის პარლამენტში (ბუნდესთაგში) წარმოდგენილი პარტიის წევრები, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე ოპოზიციიდან ენობრივი მანიპულაციის მრავალფეროვანი ტექნიკებისა და მეთოდების გამოყენებით ხასიათდებიან (ხელისუფლება 31 სახეობის მანიპულაციის საშუალება, ოპოზიცია - 41 სახეობის მანიპულაციის საშუალება). რაც შეეხება მათი გამოყენების რაოდენობას, ხელისუფლების მიერ გამოყენებულია 239 საშუალება, ხოლო ოპოზიციის მიერ - 612. როგორც ვხედავთ, ოპოზიციის მიერ გამოყენებული მანიპულაციის საშუალებების რაოდენობა თითქმის 3-ჯერ აღემატება ხელისუფლების მიერ გამოყენებულ საშუალებებს.

გერმანული კოალიციური უმრავლესობის საპარლამენტო დისკურსის ყველაზე დიდი ნაწილი (12%) მეტაფორებზე მოდის, მას მოჰყვება ფრეიმი (11%) და შეფასებითი სემანტიკის ლექსიკური ერთეულები, იგივე იდეოლოგემები (11%).

„Im Parlament schlägt das Herz unserer Demokratie“ (პარლამენტში ძგერს ჩვენი დემოკრატიის გული) (შოიბლე);

“Wir brauchen passende Antworten auf die Herausforderungen unserer Zeit, und wir finden sie in den Erfahrungen auch des Mauerfalls. Ich möchte an etwas erinnern: Ich glaube, dass neue Mauern immer in den Köpfen beginnen. Das ist das Fatale in unserer Zeit” (ჩვენი დროის გამოქვეყნებზე ჩვენ გვჭრდება შესაბამისი პასუხი, და პასუხებს ვიპოვით კედლის დანგრევიდან მიღებული ჩვენს გამოცდილებაში. მინდა

გავიხსენო, ჩემი აზრით, ახალი კედლები ჯერ თავში იგება, ეს ჩვენს დროში არის ფატალური) (მუთცენიხი).

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათ მიერ ყველაზე მეტი სიხშირით გამოყენებულ იქნა მეტაფორა –14%, მას მოსდევს ჰიპერბოლა –7% და ფრეიმი –6%.

„Auch auf den Finanzmärkten ziehen längst wieder dunkle Wolken auf“ (ფინანსური ბაზრების თავზე შავი ღრუბლები იკრიბებიან) (ვაგენკნეხტი).

მიუხედავად იმისა, რომ გერმანული პოლიტიკური პარტიები არ ერიდებიან ხელისუფლების ღიად კრიტიკას და დისკრედიტაციას, მათ მიერ გამოყენებული მანიპულაციის ერთ-ერთი საშუალება ძირითადი არის პრესუპოზიცია –6%.

ხელისუფლების შემთხვევაში პრესუპოზიცია (8%) მოწოდებების შემდეგ (9%) მეხუთე ადგილს იკავებს.

„Solidarität ist keine Einbahnstraße. Wir sind solidarisch mit Menschen, die bedürftig sind und die Hilfe brauchen; das ist unser Sozialstaatsgebot. Zur Solidarität gehört aber auch das individuelle Bemühen, soziale Leistungen nur so lange und so weit in Anspruch zu nehmen, wie es wirklich notwendig ist“ (სოლიდარობა არ არის ცალმხრივი გზა, ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ გაჭირვებულ ადამიანებს, ვისაც დახმარება სჭირდება; ეს არის ჩვენი სოციალური სახელმწიფო შეთავაზება. ამასთან, სოლიდარობა მოიცავს ინდივიდუალურ მცდელობასაც, რომ გამოიყენოს მხოლოდ სოციალური სერვისები იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა (ლინდნერი).

გერმანული ოპოზიციური პარტიები გამოირჩევიან ასევე, ფრაზეოლოგიზმების გამოყენების სიხშირით. მაგ.:

„Die SPD kann sich jetzt entscheiden: Wollen wir die Regierungskrise verlängern, oder holen wir als Sozialdemokraten für die Union die Kastanien aus dem Feuer?“ SPD-ს ახლა შეუძლია გადაწყვიტის: გვსურს სამთავროო კრიზისის გახანგრძლივება, თუ ჩვენ, როგორც სოციალ-დემოკრატებმა ვიკისროთ სხვისი ტვირთი (ლინდნერი). *die Kastanien aus dem Feuer holen* - იდიომატური ფრაზეოლოგიზმი, სიტყვასიტყვით: წაბლის ცეცხლიდან ამოღება, მნიშვნელობა – სხვისთვის გარჯა, სხვისი გაფუჭებული საქმის გაკეთება.

საზოგადოებაში შიშის და უიმედობის განცდის პროვოცირება გერმანული პოლიტიკის ორივე ფლანგისთვისაა დამახასიათებელი. შდრ.: ხელისუფლება -8%(18), ოპოზიცია- 5%(46).

“Alte Gewissheiten und Identitäten werden infrage gestellt, und neue, vermeintliche Gewissheiten werden in Stellung gebracht gegen zunehmende Sorgen und Zweifel. Das menschliche Bedürfnis nach Geborgenheit in vertrauten Lebensräumen trifft auf eine zunehmend als ungemütlich empfundene Welt voller Konflikte, Krisen, Kriege und medial präsentem Schrecken. Vor diesem Hintergrund verschärft sich die Tonlage der gesellschaftlichen Debatten” (ძველი გარანტიები და იდენტობა ეჭვქვეშ დგება და ეჭვების ფონზე იქმნება ახალი, სავარაუდო რწმენები, რომელიც მზარდი შემფოთებისა და ეჭვების საფუძველს იძლევა. ჩნდება მზრუნველობისა და დაცულობის ადამიანური მოთხოვნილებები, რომელიც სავსეა კონფლიქტებით, კრიზისებით, ომებითა და მედიის საშინელებათა გადმოცემების სავსე სამყაროში (შოიბლე).

გერმანული პოლიტიკური პარტიებისთვის დამახასიათებელია ასევე ისტორიული მეხსიერების ფიგურების აქტიური გამოყენება და მათი ციტირება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ოპოზიციური პარტიებისთვის, ისინი იმოწმებენ როგორც საზოგადო მოღვაწეებს, ასევე პოლიტიკოსებსა და ცნობილ მწერლებს. შდრ.: ხელისუფლება - 3%, ოპოზიცია - 4%.

„Außenpolitik ist leider kein Wunschkonzert. Oder, um es in Anlehnung an Otto von Bismarck zu sagen: Wir haben nicht Dogmatik, sondern Politik zu treiben“ (სამწუხაროდ, საგარეო პოლიტიკა არ არის საოცნებო კონცერტი. დავესესხები ოტო ფონ ბისმარკს: ჩვენ არა გვაქვს დოგმატიკა, არამედ პოლიტიკა) (გაულანდი).

გერმანული უმრავლესობისა და ოპოზიციური პარტიების შედარებისას გამოიკვეთა, რომ ოპოზიციური პარტიები უფრო ხშირად და უფრო მრავალფეროვანი მანიპულაციის საშუალებებს იყენებენ, ვიდრე უმრავლესობის კოალიცია. სახელისუფლებო პარტიების მიერ გამოყენებული მანიპულაციის ენობრივი საშუალებების უმეტესობა პერსუაზიულ საშუალებებზე მოდის,

მაგალითად, სხვადასხვა სტილისტური საშუალებები: მეტაფორა, გამეორება, ირონია, ალიტერაცია. ასევე წარმატებით იყენებენ შეფასებითი სემანტიკის სიტყვებს, იდიოლოგემებს, როგორებიცაა: თავისუფლება, თანასწორობა, კეთილდღეობა. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათი სტრატეგიები მრავალფეროვანია და უხვად მოიცავს როგორც პერსუაზიულ, ასევე საკუთრივ მანიპულაციურ საშუალებებს. ხელისუფლებისგან განსხვავებით, ისინი არ ერიდებიან ნაციონალისტურ განცხადებებს და საზოგადოების პოლარიზებას. ისინი ასევე წარმატებით იყენებენ საზოგადოების საჭიროებებზე ფოკუსირების ტექნიკას და პოპულისტური გამონათქვამების სიჭარბითაც გამოირჩევიან.

გერმანული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენობრივი მანიპულაციის საშუალებების შესაძლებლობები განუსაზღვრელია და ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოშიც კი, როგორც გერმანიაა, პოლიტიკოსები, განსაკუთრებით კი ოპოზიციური პარტიები, ყველა მეთოდს ხმარობენ, რომ მათი მიზნები იქნეს მიღწეული და საამისოდ არ ერიდებიან საზოგადოების პოლარიზებას და დაპირისპირების წახალისებასაც კი.

ნაშრომში წარმოდგენილი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა იმ პოლიტიკური პარტიების სტრატეგიები, რომელთაც 2017 წელს მოიპოვეს ხალხის მხარდაჭერა და საპარლამენტო მანდატები დაიკავეს.

ზოგადი დასკვნები

ჩატარებული კვლევის და გერმანული და ქართული საპარლამენტო პოლიტიკური დისკურსების ემპირიული მასალის შესწავლის შედეგად ცხადი გახდა დისკურსის გავლენა საზოგადოების შეხედულებების, ცნობიერების და ბოლოს ქმედებების კონსტრუირებაზე.

დისკურსი არის ისტორიული მოვლენა, რომელიც იქმნება კონკრეტული საკითხის გარშემო. საერთო კოლექტიურ მეხსიერებაში დაგროვილი ცოდნა ქმნის

დისკურსს, რომელიც მასში არსებული მაკონსტრუირებელი საშუალებებით აყალიბებს საზოგადოებას. იგი გავლენას ახდენს საზოგადოებრივ სინამდვილეზე.

დისკურსის ფორმირება ყველას არ შეუძლია, მას მხოლოდ ძალაუფლებისა და ავტორიტეტული გავლენის მქონე სუბიექტები ქმნიან და გამყარებულია ინსტიტუციონალურად. დისკურსის ფლობა და მართვა ნიშნავს ძალაუფლებისა და გავლენის ფლობას.

წარმატებული პოლიტიკური კომუნიკაციისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონტექსტს და პრაგმატიკულ მარკერებს. საერთო ფონური ცოდნა და კოლექტიური სიმბოლოები დიდ დახმარებას უწევს მოსაუბრეს საკუთარი იმპლიკაციური მიზნების განხორციელებაში.

მედიის განვითარებამ და ფართოდ გავრცელებამ პოლიტიკური დისკურსი ხელმისაწვდომი გახადა ფართო მასებისთვის, რამაც პოლიტიკოსები აიძულა საზოგადოების ყველა ფენისთვის გაეწია ანგარიში და მათი ტექსტები ხელმისაწვდომი გამხდარიყო სხვადასხვა ინტერესის მქონე ამომრჩევლებისთვის.

ენა პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად ყველაზე ლეგიტიმური ინსტრუმენტია. იგი პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი იარაღია, მის გარეშე შეუძლებელია პოლიტიკური მოღვაწეობა. დროთა განმავლობაში, ტექნოლოგიურმა განვითარებამ პოლიტიკური ენის წინაშე ახალი გამოწვევები დააყენა, რამაც პოლიტიკური ენის მოდიფიკაცია განაპირობა და არგუმენტაციისა და პერსუაზიული საუბრის ნაცვლად წინა პლანზე წამოიწია ენის მანიპულაციური მიზნებით გამოყენება.

მიუხედავად იმისა, რომ მანიპულაცია და პერსუაზივი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან (პერსუაზივი სიმეტრიულ, ციკლურ საკომუნიკაციო აქტს გულისხმობს, ხოლო მანიპულაცია ასიმეტრიული, შემოკლებულ კომუნიკაციას), პერსუაზივი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მანიპულაციური მიზნებისთვისაც.

ემპირიული მასალის ანალიზის შედეგად მოხდა იმ ენობრივი საშუალებების იდენტიფიცირება, რომლითაც გერმანული და ქართული პოლიტიკური

პარტიების წარმომადგენლები საკუთარი მიზნების მისაღწევად მსმენელის ფიქრებსა და ქმედებაზე ახდენენ ზეგავლენას.

ენის მანიპულაციური მიზნებით გამოყენება დამახასიათებელია როგორც გერმანული, ასევე ქართული საპარლამენტო დისკურსისთვის. არსებობს მანიპულაციის უნივერსალური მეთოდები, თუმცა მათი გამოყენების სტრატეგიები და ტექნიკა გერმანული და ქართული პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე, განსხვავებულია.

მანიპულაციური ტექნიკებისა და მეთოდების გამოყენება განსაკუთრებით დამახასიათებელია ოპოზიციური პარტიებისთვის, მათთვის, ვისაც სურთ ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

გერმანული უმრავლესობისა და ოპოზიციური პარტიების შედარებისას გამოიკვეთა, რომ ოპოზიციური პარტიები უფრო ხშირად და უფრო მრავალფეროვანი მანიპულაციის საშუალებებს იყენებენ, ვიდრე კოალიციური უმრავლესობის პარტიები. სახელისუფლებო პარტიების მიერ გამოყენებული მანიპულაციის ენობრივი საშუალებების უმრავლესობა პერსუაზიულ საშუალებებზე მოდის, მაგალითად, სხვადასხვა სტილისტური ხერხი: **მეტაფორა, გამეორება, ირონია, ალიტერაცია**. ასევე წარმატებით იყენებენ შეფასებითი სემანტიკის სიტყვებს, იდიოლოგემებს, როგორებიცაა: **თავისუფლება, თანასწორობა, კეთილდღეობა**. რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, მათი სტრატეგიები მრავალფეროვანია და უხვად მოიცავს როგორც პერსუაზიულ, ასევე საკუთრივ მანიპულაციურ საშუალებებს.

გერმანიის ბუნდესთაგის ოპოზიციური პარტიები ხელისუფლებისგან განსხვავებით, არ ერიდებიან **ნაციონალისტურ განცხადებებს** და საზოგადოების **პოლარიზებას**. ისინი ასევე წარმატებით იყენებენ **საზოგადოების საჭიროებებზე** ფოკუსირების ტექნიკას და **პოპულისტური** გამონათქვამების სიჭარბით გამოირჩევიან. მათთვის ასევე დამახასიათებელია **ფრეიმებისა** და **ფრაზეოლოგიზმების** გამოყენება.

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში მანიპულაციის თითქმის ერთსა და იმავე საშუალებებს იყენებენ როგორც ოპოზიციური, ასევე უმრავლესობაში მყოფი პარტიები. მათი მანიპულაციური სტრატეგიებიც ბევრად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს ხელისუფლება სტილისტური ხერხებიდან ძირითადად **შედარებებს** იყენებს, ხოლო ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები უპირატესობას **ირონიას** ანიჭებენ, რაც საქართველოს პარლამენტში არსებული პარტიების ენობრივი მანიპულაციის სტრატეგიების ერთგვარ ლუსტრაციას წარმოადგენს. ქართული პოლიტიკური დისკურსისათვის დამახასიათებელია აგრეთვე **ფრეიმების** გამოყენება.

ქართული სახელისუფლებო პარტია, გერმანული სახელისუფლებო პარტიებისგან განსხვავებით, არ ერიდება მოწინააღმდეგის **დისკრედიტაციას**. გერმანული ხელისუფლება აქცენტს პასუხისმგებლობასა და ურთიერთშემწყნარებლობაზე აკეთებს, რაც ხანგრძლივი საპარლამენტო ტრადიციით არის განპირობებული.

ქართული თუ გერმანული პოლიტიკური დისკურსისათვის ტიპურია ავტორიტეტული წყაროს დამოწმება, თუმცა შედარებით დიდი რაოდენობით და წყაროს მრავალფეროვნებით, მაგ.: საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები, მწერლები და ა.შ. გამოირჩევა გერმანული პოლიტიკური დისკურსი, განსაკუთრებით ოპოზიცია. ქართული პარტიების წარმომადგენლები, უმთავრესად, საერთაშორისო ორგანიზაციების განცხადებებს იმოწმებენ.

მანიპულაცია ენის გამოყენების ისეთი შემთხვევაა, როცა მოსაუბრის იმპლიკაციური ჩანაფიქრი შეუმჩნეველი რჩება და მსმენელს რჩება შთაბეჭდილება, რომ მისი და მოლაპარაკის მიზნები თანხვედრაშია.

თავისთავად ცალკეულად აღებული სიტყვა ნეიტრალურია და არ აქვს მანიპულირების უნარი. სიტყვის მანიპულაციურ ხასიათს განაპირობებს კონტექსტი და პიროვნება, თუ ვის მიერ და სად იქნა სიტყვა გამოყენებული.

პოლიტიკური დისკურსის სრულყოფილი გამოკვლევა ერთი ნაშრომის ფარგლებში შეუძლებელია, თუმცა აღნიშნული კვლევის საფუძველზე შევძელით ქართული და გერმანული პოლიტიკური ზეპირმეტყველების ძირითადი მახასიათებელი ნიშნების იდენტიფიცირება.

კვლევის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანია კორპუსლინგვისტური კვლევის მეთოდის როლი. იგი დიდი მოცულობის ტექსტების დამუშავებისა და შედარების მასშტაბების განუსაზღვრელ შესაძლებლობას იძლევა. მიუხედავად იმისა, რომ კორპუსლინგვისტიკა რაოდენობრივი კვლევის მეთოდით სარგებლობს, კრიტიკული დისკურსის ანალიზთან კომბინაცია შესაძლებლობას იძლევა თვისებრივი შედეგები ტექსტის ზედაპირზე გახდეს თვალსაჩინო.

თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, პოლიტიკური ზეპირმეტყველების დისკურსი ყოველთვის იძლევა კვლევის ახალი პერსპექტივის შესაძლებლობას, რაც სასურველია განხორციელდეს მომავალ კვლევებში.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა შემდეგ პუბლიკაციებში:

- მანიპულაცია როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის სტრატეგია და მისი წარმოების ენობრივი საშუალებები, 2021. თბილისის ღია უნივერსიტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი ყოველწლიური კრებული ISSN 1987-9067 (ბეჭდური) E ISSN 2667-9086 (ელექტრონული)
- ევფემიზმები პოლიტიკურ დისკურსში, 2018. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა III კონფერენციის მასალები, 2017, გვ. 83-86; ISBN 978-9941-462-79-5
- იდიომების წარმოშობის ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორები

Interdisciplinaires en Sciences humaines (IISH) N 5 გვ. 654-664

ISSN:1987-8753

- პერსუაზიული კომუნიკაცია პოლიტიკურ დისკურსში, 2017, ბსუ-ს 80 წლისადმი მიძღვნილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

დოქტორანტთა II კონფერენციის მასალები, 2015, გვ. 191-195; ISBN 978-9941-462-47-4

- მეტაფორა პოლიტიკურ კომუნიკაციაში, ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, II საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ნაწილი I, გვ. 345-347; ISSN1987-7625 ISBN 978-9941-434-91-4 (საერთო) ISBN 978-9941-434-92-1 (ნაწილი I)